



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წინადადება

მსჯავრდებულ **[REDACTED]** საქმეზე დისციპლინური წარმოების დაწყების
თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველო სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა N10 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის, **[REDACTED]** განცხადებები, მოიპოვა და შეამოწმა საქმესთან დაკავშირებული ყველა რელევანტური დოკუმენტი. ყოველმხრივი შემოწმების შედეგად გამოვლინდა პატიმრის უფლებების დარღვევის ფაქტი, რასთან დაკავშირებითაც მოგმართავთ წინამდებარე წინადადებით.

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) გადაწყვეტილებით,¹ მსჯავრდებულ **[REDACTED]** შუამდგომლობა სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილება ეყრდნობა რამდენიმე ფაქტორს, კერძოდ:²

- დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები და ვითარება;

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის **[REDACTED]** გადაწყვეტილება, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის **[REDACTED]** ოქმი.

² იქვე, 8-9.

- სასჯელის მოხდისას სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის საკითხი;
- სასჯელის მიზნის მიღწევა სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში - ინფორმაციის არარსებობა დაზარალებულების პოზიციის შესახებ;

კონტექსტის სრულყოფილად აღსაქმელად, საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სოციალურ აქტივობებში მსჯავრდებულის მონაწილეობის საკითხზე:

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელთან შეხვედრისას, მსჯავრდებულმა მიუთითა, რომ N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის მთლიანი პერიოდის განმავლობაში, მისთვის არცერთხელ მომხდარა რომელიმე სოციალურ აქტივობაში ჩართვის შეთავაზება. ხოლო, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადასვლის შემდგომ, პირველივე შეთავაზებისას, დათანხმდა მსგავს აქტივობაში ჩართვას.

მსჯავრდებულის მიერ მითითებული გარემოების სისწორე დასტურდება N8 და N10 პენიტენციური დაწესებულების დირექტორების მიერ მოწოდებული ინფორმაციითაც. კერძოდ, N8 პენიტენციური დაწესებულების წერილის თანახმად,³ მსჯავრდებული ჩართული არ ყოფილა სოციალურ აქტივობებში, ვინაიდან სასჯელის მოხდის პერიოდში აღნიშნული აქტივობები დაწესებულების ტერიტორიაზე არ ხორციელდებოდა. ხოლო, N10 პენიტენციური დაწესებულების წერილის თანახმად,⁴ მსჯავრდებულ [REDACTED] N10 დაწესებულების სოციალურმა მუშაკმა შესთავაზა შემთხვევის მართვის პროცესში ჩართვა. 2023 წლის 24 იანვარს კი გაფორმდა თანხმობის ოქმი მსჯავრდებულის შემთხვევის მართვის პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით.

ზემოხსენებული ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად სახალხო დამცველის აპარატმა წერილით მიაწოდა საბჭოს.⁵

[REDACTED] შუამდგომლობის გადაწყვეტის ლეგიტიმურობის შეფასებისას, არსებითაა მის საქმეზე არსებულ დაზარალებულთა თანხმობების წარდგენის საკითხი:

საბჭო გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ მსჯავრდებულს რამდენიმე დაზარალებული ჰყავს და ამ დაზარალებულთაგან არცერთის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა არ წარუდგენია [REDACTED].⁶

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელს [REDACTED] გადასცა N10 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია,⁷ რომელშიც მოცემულია დახასიათებები, ასევე მის საქმეზე არსებული 3 სხვადასხვა დაზარალებულის

³ N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 16 მარტის N 71080/24 წერილი.

⁴ N10 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 15 მარტის N 70231/01 წერილი.

⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 10 აპრილს N 15-10/3586 წერილი.

⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2023 წლის [REDACTED] ოქმი, 9.

⁷ N10 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოთხოვილი დოკუმენტაცია N 25/44786 სამსახურებრივი ბარათი.

ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები. მსჯავრდებული უთითებდა, რომ ხსენებული დოკუმენტაცია მის პირად საქმეში ინახებოდა და ამდენად, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ისიც უნდა გადაგზავნილიყო საბჭოში N8 პენიტენციური დაწესებულების მიერ.

ვინაიდან, საბჭოს გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდიოდა მსჯავრდებულის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციასთან, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა N8 პენიტენციურ დაწესებულებას,⁸ რათა დაწესებულებას დაეზუსტებინა, სრულად გადაიგზავნა თუ არა მსჯავრდებულის დახასიათება საბჭოში, მათ შორის, დაზარალებულთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები.

N8 პენიტენციური დაწესებულების წერილის თანახმად,⁹ მსჯავრდებულ [REDACTED] დახასიათება საბჭოში გადაიგზავნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. დამატებითი ინფორმაცია წერილში არ იყო მითითებული.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სახალხო დამცველის აპარატს მიეწოდა მსჯავრდებულ [REDACTED] მიმართ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა) შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, N8 პენიტენციური დაწესებულებიდან საბჭოში შესული 30/11/2022 დახასიათება.¹⁰

მოპოვებული კორესპონდენციის გაცნობის შედეგად დადასტურდა, რომ N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ ხელმოწერილი დახასიათების დოკუმენტაციაში არ ფიქსირდებოდა დაზარალებულთა მხრიდან ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები.

ამრიგად, მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენა, დახასიათების გადაგზავნის მომენტში, ჰქონდა თუ არა ხელთ N8 პენიტენციურ დაწესებულებას დაზარალებულთა თანხმობები.

გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მსჯავრდებულმა დაზარალებულების თანხმობები პირად საქმეზე დასართავად N8 პენიტენციურ დაწესებულებაში წარადგინა 2022 წლის 16 ნოემბერს, ხოლო საბჭოში [REDACTED] დახასიათების დოკუმენტი ხელმოწერილი და გაგზავნილია 2022 წლის 30 ნოემბერს.¹¹

შედეგად, იმის მიუხედავად რომ მსჯავრდებულს 14 დღით ადრე ჰქონდა წარდგენილი დაზარალებულების თანხმობები პირად საქმეზე დასართავად, საბჭოსთვის გადაგზავნილ დახასიათების დოკუმენტებში ისინი მაინც არ მოხვდა და არ გადაიგზავნა დაუდგენელი მიზეზით.

⁸ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 02 მარტის N 15-10/2221 წერილი.

⁹ N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 16 მარტის N 71080/24 წერილი.

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 10 მაისის N 15-10/4642 წერილი; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2023 წლის 25 მაისის N142877/01 პასუხი.

¹¹ N10 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 11 მაისის N128411/25 წერილი.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია.¹² დასახელებული სამი მიზნიდან, ორი - დანაშაულის პრევენცია და მსჯავრდებულის რეაბილიტაცია დაკავშირებულია მსჯავრდებულის ქცევითი მოდელის სასიკეთო ცვლილებასთან. აღნიშნული, თავის მხრივ საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, ერთდროულად რამდენიმე აქტორის ჩართვას.

ციხის პირობებში მსჯავრდებული იმყოფება სახელმწიფოს ექსკლუზიური კონტროლის ქვეშ, მისი ქცევა მართვადი და პროგნოზირებადია.¹³ ამდენად, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, მიმართოს ყველა რესურსი იმისკენ, რომ მსჯავრდებულში ჩამოაყალიბოს ერთგვარი ქცევის მოდელი, რომელიც შემდგომ მას მოამზადებს საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებისთვის.

ხსენებული ქცევის მოდელის ჩამოყალიბება მოითხოვს ენთუზიაზმს, მოტივაციას. მსჯავრდებული უნდა ხედავდეს მისი ქცევის ცვლილების მოსალოდნელ, დაპირებულ სასიკეთო შედეგებს. წახალისება კარგი ყოფაქცევისთვის კი, ყველაზე უფრო ეფექტური მექანიზმია ამ მიზნის მიღწევის გზაზე.

პენიტენციურ სისტემაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წახალისების/საშედავათო ფორმა, თუმცა მათგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი, რომელიც, ასევე მოიცავს სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლას.

ეს მექანიზმი არის ერთგვარი პირობა და იმედი პატიმრისთვის, რომ მისი ქცევის ცვლილება და სწრაფვა რესოციალიზაციისკენ არ იქნება შეუმჩნეველი, არ დარჩება უპასუხოდ. შესაბამისად, საბჭო, საკითხის განხილვისას, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, აუცილებლად ითვალისწინებს სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, ასევე მსჯავრდებულის პიროვნებას.¹⁴

ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.¹⁵ მსჯავრდებულებს, მათ შორის უვადო პატიმრებს, უნდა შეეძლოთ

¹² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 39, ნაწილი 1.

¹³ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, სიცოცხლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, თბილისი, 2009, 57.

¹⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს N320 ბრძანება, მუხლი 13, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“ და „ე“.

¹⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 115.

რეაბილიტაცია და, ასევე, უნდა ჰქონდეთ გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.¹⁶

წინამდებარე საქმის სამართლებრივი ანალიზი

მოპოვებული დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ მსჯავრდებულს თავიდანვე ჰქონდა სურვილი სოციალურ აქტივობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი არ ყოფილა ჩართული სოციალურ აქტივობებში N8 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას.

მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებულის სურვილი, ჩართულიყო სოციალურ აქტივობებში, ფიქსირდებოდა N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ 2022 წლის 30 ნოემბრის საბჭოსთვის გადაგზავნილ დახასიათების დოკუმენტში.¹⁷

მსჯავრდებულის მხრიდან აშკარად იკვეთება სურვილი, გამოასწოროს ქცევა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნისას მას არ აქვს დისციპლინური სახდელი დაკისრებული, ამის საპირისპიროდ, ის წახალისებულია შვიდჯერ. მნიშვნელოვანია, რომ მსჯავრდებული აქტიურად აჩვენებს მზაობას, ჩაერთოს სოციალურ, საგანმანათლებლო აქტივობებში. ხოლო, მაშინაც კი, თუკი მისი ქცევა და პიროვნული მახასიათებლები ცალკე აღებული არ იქნებოდა საკმარისი საბჭოს მიერ შუამდგომლობის დადებითად გადაწყვეტისთვის, დიდი მნიშვნელობის მქონეა, თუ რა მიზეზი და დასაბუთება იარსებებდა ამისთვის.

მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, უარყოფითად შეფასდა მსჯავრდებულის სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის არ მიღება, როდესაც აღნიშნული მასზე დამოკიდებული არ ყოფილა, მეორე მხრივ, საბჭო დაეყრდნო იმ მოცემულობას, რომ დაზარალებულის თანხმობები საქმეში არ არსებობდა, მაშინ როდესაც მსჯავრდებულმა შეძლო მათი მოპოვება.

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ის საკითხი, შედეგობრივად დაზარალებულთა თანხმობების წარდგენის ფაქტი შეცვლიდა თუ არა საბჭოს გადაწყვეტილებას უპირობოდ, არამედ თავად ის გარემოება, რომ საბჭოსთვის წარდგენილი არ იყო მსგავსი მნიშვნელობის დოკუმენტი, რაც შემდგომ პატიმრის საზიანოდ, ნეგატიურ ფაქტორად ჩაითვალა. შედეგად, საბჭომ ყოველმხრივ და სრულყოფილად (ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო) ვერ განიხილა მსჯავრდებულის შუამდგომლობა.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმი არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. მსჯავრდებულს უნდა მიეცეს აღნიშნული მექანიზმით რეალურად სარგებლობის

¹⁶ იქვე.

¹⁷ N8 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის მიერ ხელმოწერილი 2022 წლის 30 ნოემბრის დახასიათება.

შესაძლებლობა. საქმეში არსებული ფაქტების სრულყოფილი შეფასება კი, ამის ძირითადი წინაპირობაა.

მოცემულ შემთხვევაში, საბჭოს მიერ არ/ვერ განხორციელდა მსჯავრდებულის საკითხის სრულყოფილად შესწავლა. მიღებული გადაწყვეტილება არ ასახავდა რეალობას სრულად. უცნობია მიზეზი, თუ რატომ არ წარედგინა საბჭოს სრულყოფილი დოკუმენტაცია (დაზარალებულთა თანხმობები) საკითხის ყოველმხრივ შესასწავლად, მეორე მხრივ კი თავად საბჭოს მიერ რატომ არ იქნა სრულფასოვნად გამოკვლეული სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზები.

მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შედეგად მსჯავრდებულს დარჩეს სამართლიანობის განცდა. მას უნდა ესმოდეს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების მოტივაცია. ასევე უნდა ხედავდეს, რომ მისი კანონიერი ინტერესების დაზიანება არ დარჩება უყურადღებოდ, არამედ, მას სათანადო რეაგირება მოჰყვება.

„ის პენიტენციური დაწესებულება, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებული, ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ამის შესახებ აცნობოს მსჯავრდებულს. შუამდგომლობას უნდა ერთოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად შევსებული მსჯავრდებულის დახასიათება.“¹⁸ N8 პენიტენციური დაწესებულების შესაბამის თანამშრომელს ჰქონდა ვალდებულება, მსჯავრდებულის დახასიათებაში აესახა [REDACTED] მიერ წარდგენილი დაზარალებულთა თანხმობები, ხოლო ამავე დაწესებულებას უნდა უზრუნველყო საბჭოსთვის ამ დოკუმენტაციის მიწოდება.

დასკვნა

მოცემულ შემთხვევაში, N8 პენიტენციური დაწესებულების მიერ დაირღვა მსჯავრდებულ [REDACTED] კანონიერი ინტერესები. ამ მიზეზით, დიდი მნიშვნელობის მქონეა, რომ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება მოხდეს იმ პირის/პირების მიმართ, რომლებმაც არ შეასრულეს კანონით დაკისრებული მოვალეობა და შედეგად, დაზიანდა პატიმრის ინტერესები. მნიშვნელოვანია, პატიმარი ხედავდეს, რომ მისი უფლების დარღვევა არ არის იგნორირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ წინადადებით: დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება მსჯავრდებულ [REDACTED] კანონიერი ინტერესების დარღვევის ფაქტზე და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება N8 პენიტენციური დაწესებულების ყველა პასუხისმგებელი პირის

¹⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაძღვევა გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 07 აგვისტოს N320 ბრძანება, მუხლი 10, პუნქტი 2.

მიმართ, ვინც არ უზრუნველყო მსჯავრდებულის პირად საქმეში არსებული დაზარალებულების თანხმობების ადგილობრივი საბჭოსთვის მიწოდება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,
ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი

